

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია

რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/27 "27" მაისი 2010წ.

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №01-01/68 – (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)

პარტნიორთა კრების და რექტორის აპარატის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში „უნივერსიტეტი“) პარტნიორთა კრებისა და რექტორის აპარატი (შემდგომში „აპარატი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს აპარატის სამართლებრივ სტატუსს, ფუნქციებს და ამოცანებს, მართვის ორგანიზაციას და სტრუქტურას, აგრეთვე აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.
3. აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“, შპს-ს წესდებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესის, ამ დებულების, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.

მუხლი 2. რექტორის აპარატის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

2.1. აპარატის ძირითადი ამოცანებია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, სტრუქტურული ერთეულების, უნივერსიტეტის თანამშრომლების საქმიანობის ორგანიზაციული და საინფორმაციო მომსახურება;

2.2. აპარატის ძირითადი ფუნქციებია:

ა) რექტორის, აკადემიური საბჭოს, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფა;

ბ) პარტნიორთა კრების, აკადემიური საბჭოს სხდომების და რექტორის თათბირების ორგანიზება;

გ) თათბირებზე მოსაწვევ პირთა გაფრთხილების და რეგისტრაციის ორგანიზება;

დ) სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მასალების გამრავლება და დამსწრეთა ამ მასალებით უზრუნველყოფა;

ე) რექტორის შეხვედრების განრიგის დაგეგმვა და შეხვედრების ორგანიზება;

ვ) უნივერსიტეტში ოფიციალური სტუმრების მიღების და გასტუმრების უზრუნველყოფა;

ზ) რექტორის, აკადემიური საბჭოს, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფა;

თ) რექტორის და პარტნიორთა კრების თავმჯდომარის მითითებებისა და დავალებების შესრულება;

ო) რექტორის მიერ გამოცემული აქტების, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა;

კ) რექტორის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ლ) უნივერსიტეტში დასაქმებულ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება;

2.3. აპარატი უფლებამოსილია გამოითხოვოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისაგან მისი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

2.4. აპარატი უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიიღოს ზომები აღმოჩენილი დარღვევებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

მუხლი 3. რექტორის აპარატის მართვა და სტრუქტურა

3.1. აპარატის საშტატო ერთეულებია:

აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი;

3.2. აპარატის უფროსი უზრუნველყოფს აპარატის ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებას.

3.3. აპარატის მთავარი სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული).

3.4. აპარატის მთავარი სპეციალისტი ასრულებს აპარატის უფროსის დავალებებსა და მითითებებს, ახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

აპარატის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით. ცვლილებების შეტანის მოთხოვნის უფლება აქვს პარტნიორთა კრებას, რექტორს, აპარატის უფროსს და იურიდიულ განყოფილებას.